საქართველოს მთავრობის

დადგენილება №631

2019 წლის 20 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/12/2018, 010240030.10.003.020896) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „პ[1]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები ერთიანდებიან სამოქალაქო ოფისში.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტი;“;

ა.ბ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;“;

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ[1]“ ქვეპუნქტი:

„პ[1]) სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი;“.

3. მე-6 მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის „ვ“ – „თ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. **თავდაცვის ატაშეებისა და წარმომადგენლების დეპარტამენტი:**

ა) კოორდინაციას უწევს საქართველოს თავდაცვის ატაშეების, სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლებისა და მათი აპარატების საქმიანობას;

ბ) ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნების თავდაცვის უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას.“;

გ) მე-11 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) უზრუნველყოფს სამინისტროს პროფესიულ საჯარო მოხელეთა, აგრეთვე თავდაცვის ძალების (გარდა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტისა და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოსი) სამოქალაქო (გარდა თავდაცვის ძალების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთა დროულ და ხარისხობრივ დაკომპლექტებას.“;

დ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. **რეფორმების კოორდინაციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი:**

ა) ახორციელებს თავდაცვის სტრატეგიული და უწყებრივი დონის სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციის მხარდაჭერას, შესაბამისი რეფორმების კოორდინაციას, მონიტორინგსა და ანგარიშგებას;

ბ) ხელს უწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციას და მხარს უჭერს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ტრანსფორმაციის ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას;

გ) სამინისტროში გადაწყვეტილების მიღების პროცესების ხელშეწყობის მიზნით, კოორდინაციას უწევს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების, მართვის ჯგუფისა და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს ეფექტიან მუშაობას;

დ) უზრუნველყოფს შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მხარდაჭერას, მიმდინარე მონიტორინგსა და ანგარიშგებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სამთავრობო დონეზე და უწყებათაშორის ფორმატში სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების შემუშავების კოორდინაციას, აღსრულების მონიტორინგსა და ანგარიშგებას;

ვ) სამინისტროს სისტემაში უზრუნველყოფს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) უსაფრთხოების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან არსებული თანამშრომლობის ფორმატით გათვალისწინებული ღონისძიებების მონიტორინგსა და კონტროლს.“.

4. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 15^1 პუნქტი:

„15^1. **სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი:**

ა) ახორციელებს სტანდარტიზაციისა და კოდიფიკაციის სისტემების ნატოს სტანდარტებთან თავსებადობაში მოყვანისათვის აუცილებელ პროცედურებს, სამინისტროს სისტემაში სტანდარტიზაციისა და კოდიფიკაციის სისტემების დანერგვასა და შემდგომ მონიტორინგს;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს სამინისტროსათვის ბალანსზე რიცხული/სარგებლობაში გადაცემული ქონების სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ზედამხედველობას;

გ) სამინისტროს მოთხოვნით/ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მიწოდებული საქონლის შემოწმებას;

დ) ახორციელებს კვებითი მომსახურების ხარისხის შემოწმებას/კონტროლს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**